ხელშეკრულება № 05/021
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

2013 წლის 31 მაისი ქ. თბილისი

ერთის მხრივ, **ააიპ - საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღი** (მისამართი: ქ. თბილისი, ძველი თბილისის უბანი, ბოტანიკურის ქუჩა .№1), წარმოდგენილი დირექტორის **მაია თავართქილაძის** სახით და მეორეს მხრივ **ააიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი** მისამართი: ქ. თბილისი, რუსთაველის გამზ. №19) წარმოდგენილი ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებლის **ზაზა აბულაძის** სახით (შემდგომში წოდებული „მიმწოდებლად") ვდებთ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. მიმწოდებელი გაუწევს შემსყიდველს ამ ხელშეკრულების პუნქტი 1.2-ში მითითებულ მომსახურებას ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში, ხოლო შემსყიდველი იღებს აღნიშნულ მომსახურებას და ვალდებულია დროულად, ამ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად გადაიხადოს მისი საფასური.

1.2. ბროშურების ბეჭდვა – 200 ერთეული CPV: 79800000

2. ხელშეკრულების მოქმედების ვადები

2.1. ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს 2013 წლის 30 ივნისამდე.

3. მომსახურების გაწევის წესი და ადგილი

3.1. მიმწოდებელი ახორციელებს ბეჭდვით მომსახურებას, ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

3.2. მომსახურების გაწევა ხდება ერთიანადდ, არაუგვიანეს 2013 წლის 20 ივნისისა.

4. მხარეთა ვალდებულებები

4.1. მიმწოდებლის ვალდებულებები:

4.1.1. მიმწოდებელი ვალდებულია გაუწიოს შემსყიდველს ამ ხელშეკრულების 1.2. პუნქტში მითითებული ნივთობრივად და უფლებრივად უნაკლო მომსახურება.

4.1.2. თუკი, ხელშეკრულების 1.2. პუნქტით გათვალისწინებული მომსახურება არ აღმოჩნდება სრულყოფილი, მიმწოდებელი ვალდებულია, შემსყიდველის მოთხოვნისთანავე, გამოასწოროს ეს ნაკლი.

5. ფასი და ანგარიშსწორების წესი

5.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულებაა **350,00** (სამას ორმოცდაათი) ლარი.

5.2. მომსახურების საფასურის გადახდა ხდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით, მომსახურების გაწევის შესახებ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში.

6. ხელშეკრულების ინსპექტირება

6.1. შემსყიდველი ახორციელებს კონტროლსა და ზედამხედველობას მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულებაზე.

6.2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული კონტროლისა და ზედამხედველობის განხორციელება უნივერსიტეტის მხრიდან ევალება ტექნიკურ მენეჯერს **სერგო გიორგობიანს.**

7. შესყიდვის საგნის მიღება-ჩაბარების წესი

7.2. შესყიდვის საგანი ჩაითვლება მიღებულად მას შემდეგ, რაც შემსყიდველის მიერ უფლებამოსილი პირები ხელმოწერით დაადასტურებენ მის მიღებას.

7.3. მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერა, შემსყიდველის მხრიდან განესაზღვროს ტექნიკურ მენეჯერს **სერგო გიორგობიანს.**

8. ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1. შემსყიდველი უფლებამოსილია უარი თქვას წინამდებარე ხელშეკრულებაზე და მოითხოვოს გაწეული ხარჯების ანაზღაურება მომსახურების ხელშეკრულებით გათვალისწინებული ხარისხის მნიშვნელოვანი დარღვევის (გამოუსწორებელი ნაკლის, ისეთი ნაკლის, რომლის გამოსწორება შეუძლებელია განსაზღვრული მატერიალური და დროის დანახარჯების გარეშე, ან რომელიც კვლავ აღმოჩნდება ნაკლის გამოსწორების შემდეგ) შემთხვევაში.

9. მხარეთა პასუხისმგებლობა

9.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულებისათვის მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა.

9.2 ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში მიმწოდებელს ეკისრება შეუსრულებელი ვალდებულების 0,1%-ის გადახდა ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

9.3. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო შეუსრულებელი ვალდებულების 10%-ს ოდენობით.

10. ფორს-მაჟორი

მხარეებს არ დაეკისრებათ პასუხისმგებლობა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის, არაჯეროვანი შესრულების ან ვადის გადაცილებისათვის თუკი, შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული გარემოებებით.

11. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის წესი

ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასების გადასინჯვა შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ ის გარემოებები, რომლებიც ხელშეკრულების დადების საფუძველი გახდა, ხელშეკრულების დადების შემდეგ აშკარად შეიცვალა და მხარეები არ დადებდნენ ამ ხელშეკრულებას ან დადებდნენ სხვა შინაარსით, ეს ცვლილებები რომ გაეთვალისწინებინათ.

12. ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის წესი

12.1 ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა დასაშვებია მხოლოდ მხარეთა წერილობითი შეთანხმებით.

13. დავების გადაჭრის წესი

ამ ხელშეკრულების შესრულების დროს წამოჭრილი ყველა დავა შეძლებისდაგვარად გადაიჭრება მხარეთა შორის მოლაპარაკების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავას წყვეტს სასამართლო.

14. დასკვნითი დებულებები

ხელშეკრულება შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად (ერთი რჩება შემსყიდველს, ერთი – შემსრულებელს).

მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი:	**მიმწოდებელი:**
ააიპ - საქართველოს ეროვნული ბოტანიკურ ბაღი	ააიპ -საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა
მისამართი: ქ. თბილისი, ძველი თბილისის უბანი	და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბოტანიკურის ქუჩა N1	მისამართი თბილისი, რუსთაველის №19
ს/კოდი: 404 405 960	საიდენტიფიკაციო კოდი – 203 851 028
სს ,,ლიბერთი ბანკი''	სს ვითიბი ბანკი ჯორჯია
ბანკის კოდი: LBRTGE22	ბანკის კოდი: UGEBGE22
ანგარიშის ნომერი:ა/ა GE83 LB01 1511 6791 0480 00	ანგარიშის ნომერი: GE92 VT66 0000 5577 0036 08
ადგ. თვითმმ. ერთეულიდან ძალებულია შემოსავლები	
მაია თავართქილაძე	**ზაზა აბულაძე**